ბრძანება №70/01-01, 20.04. 2017 წ.
დანართი №1

2016/2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ პროგრამის ფარგლებში რენის გამოყენებით მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პერსონალისთვის გამოყოფილი დამატებითი სტიპენდიის კანდიდატთა შესარჩევი კონკურსის ჩატარებისა და შერჩევის წესი

1. კონკურსის მიზანი

კონკურსის მიზანია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პერსონალის წარმომადგენლებს შორის ევროკომისიის მიერ დაფინანსებული ერაზმუს+ის პროგრამის ფარგლებში მოკლევადიანი სტიპენდიების კანდიდატთა შერჩევა 2016/2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისთვის.

2. კანდიდატი

კანდიდატები შეირჩევიან პერსონალის წარმომადგენლებს შორის, რომლებმაც განაცხადი გააკეთეს საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის მიერ გამოცხადებულ კონკურსზე.

3. კანდიდატების შერჩევა

ა)კანდიდატების შერჩევა ხორციელდება თსუ-სა და რენის გამოყენებით მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის ერთობლივ საკონკურსო კომისიასთან გასაუბრების გზით შემდეგ კრიტერიუმებზე დაყრდნობით:

1. მოტივაცია
2. სამუშაო გეგმა

4. კომისიის შეფასება

ა)კომისია ახორციელებს კანდიდატის მოტივაციისა და სამუშაო გეგმის შეფასებას.

ბ)კანდიდატის მოტივაციისა და სამუშაო გეგმის შეფასება ხორციელდება არაუმეტეს 10 ქულით შემდეგი თანაფარდობით:

ბრწყინვალე -	10 ქულა
ძალიან კარგი -	9 ქულა
კარგი -	8 ქულა
დამაკმაყოფილებელი -	7 ქულა
საკმარისი -	6 ქულა
არადამაკმაყოფილებელი -	5 ქულა და ნაკლები

გ) თუ კანდიდატის მოტივაცია ან სამუშაო გეგმა შეფასებულ იქნება არადა-მაკმაყოფილებლად (5 ქულა და ნაკლები), მისი კანდიდატურა იხსნება შესარჩევი კონკურსიდან.

5. სტიპენდიატების გამოვლენა

სტიპენდიატების გამოვლენა ხდება თსუ-სა და რენის გამოყენებით მეცნიერებათა ეროვნული ინსტიტუტის ერთობლივი კომისიის შეფასების საფუძველზე.